საქართველო
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა

N 50 34 06/08/2018

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრი“ - სთვის ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობა - ნაგებობების სარგებლობის უფლებით უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადასაცემად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.დ“ ქვეპუნქტის , 122–ე მუხლის მე-4, მე - 6 პუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის # 669 დადგენილების ,, მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების,სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ 22 - ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირს „სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრს“ გადაცეს სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შემდეგი შენობა - ნაგებობები:

1.დაბა ხარაგაულში სოლომონ მეფის ქუჩა (რიყეში) მდებარე (ს/კ 36.01.31.042) .8460 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა და მასზედ მდგარი შენობა-ნაგებობა N1- 1798,83 კვ.მ ფართით და შენობა N2-სეპტიკი 17,16 კვ.მ ფართით(სასპორტო სკოლა).

2.დაბა ხარაგაულში სოლომონ მეფის ქუჩა N54-ში (ს/კ 36.01.31.173). 865 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა და მასზედ მდგარი შენობა-ნაგებობა.(ძველი სპორტ სკოლის შენობა).

3.დაბა ხარაგაულში სოლომონ მეფის ქუჩა N54-ში (ს/კ 36.01.31.020) 11771 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა.(სტადიონი).

მუხლი 2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 180 –ე მუხლით დადგენილი წესით.

მანანა ბარბაქაძე



საკრებულოს თავმჯდომარე